

ომი თუ მშვიდობა - როგორ დაგიბრუნებთ აფხაზეთს?

პარლამენტის მიერ ახლახან მიღებული რეზოლუცია რუსი სამშვიდობოების შესაძლო გაყვანის თაობაზე ხელახლა აღვივებს აფხაზეთის დაბრუნების მინავლებულ იმედს. აქამდე აფხაზეთის მიმართ გატარებული პოლიტიკა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ სახელმწიფოს აფხაზეთის დაბრუნების მკაფიო გეგმა და პოლიტიკის წარმართვის გააზრებული სცენარები თითქოს არც გააჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ხელისუფლება არ იყო მოვლენათა განვითარების ტონის მიმცემი და კანტი-კუნტი მცდელობის მიუხედავად, საერთო ჯამში, პასიური მომლოდინებს პოზაში იყო გახვებული. შეიცვალა თუ არა პრობლემისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულება, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. ამასობაში კი სულ უფრო მეტ მხარდამჭერს პოულობს სამოქალაქო საზოგადოებისეული ხედვა, რომელსაც პირობითად „სამოქალაქო პაციფიზმი“ შეიძლება დავარქვათ.

ამ მიდგომის თანახმად, აფხაზეთის პრობლემა მხოლოდ მშვიდობიანად უნდა გადაიჭრას; აკი დასავლელი დიპლომატები და ექსპერტებიც მხოლოდ ამას გვირჩევენ.

პაციფისტები აფხაზეთის პრობლემას განიხილავენ, როგორც შიგახახელმწიფოებრივს. პრეზიდენტ ბუშის თბილისში საჯარო გამოსვლის მერე კი ბევრ მათგანს განუმტკიცდა აზრი, რომ რუსულ ფაქტორს ამერიკა გაანეირრალებს და პრობლემა მხოლოდ შიგაკონფლიქტის სახეს მიიღებს. აფხაზეთის კონფლიქტის შიგაკონფლიქტად გააზრების შემთხვევაში, ომის გზით აფხაზეთის დაბრუნება იმთავითვე გამორიცხულია, რადგან ომობენ სახელმწიფოები (და არა ადამიანები, - ადამიანები მხოლოდ იბრძვიან ომებში); ქართველები და აფხაზები ერთმანეთს ებრძოდნენ, მაგრამ ერთ სახელმწიფოში; სახელმწიფო კი თავის თავთან ვერ იომებს. აფხაზები ჩვენი მოსახლეობაა, ჩვენი ხალხია, და მათთან საერთო ენა უნდა გამოვნახოთ; მათ უნდა შევთავაზოთ რაღაც ცდუნების მომგრელი, რომ მათთვისაც მიმზიდველი გახდეს ერთიან საქართველოში ცხოვრება; „ბლოკადა“ უნდა გაუქმდეს, პირიქით, ერთობლივი ეკონომიკური პროექტები უნდა განხორციელდეს; უნდა მოხდეს დაახლოება საერთო საქმიანობის გზით (აქ კრიმინალური და კონტრაბანდული ბიზნესის წარმატებული გამოცდილება არ იგულისხმება). პერმანენტულად უნდა ვაწარმოოთ მოლაპარაკები სეპარატისტებთან, უნდა დავარწმუნოთ ისინი, ჩვენთან ცხოვრების უპირატესობაში; ზოგიერთი ულტრაპაციფისტის აზრით კი, სეპარატისტებს ბოდიში უნდა მოვუხადოთ და ვაღიაროთ ჩვენი დანაშაული; უნდა შევემვათ ისტორიის ფალსიფიცირების გამო ატეხილ დავას; უნდა შევქმნათ აფხაზების უსაფრთხოების მაგარანტირებელი პირობები და ა.შ... მოკლედ, მთავარია ჩვენსა და აფხაზებს შორის ნდობის დამკვიდრება, მთავარია რას მოინდომებენ აფხაზები, მათ უნდა დავუთმოთ ყველაფერი, რისი დათმობაც კი შეიძლება ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში. აფხაზების ჩვენდამი კეთილი განწყობის და კეთილი ნების გარეშე პრობლემა არ მოგვარდება...

ამ თვალსაზრისის მომხრეულმა გულის სიღრმეში ალბათ იციან, რომ აფხაზებისთვის მთავარია არ იყვნენ ქართველებთან ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში და ამ მიზნის მისაღწევად, თავის მხრივ, მზად არიან დათმონ ყველაფერი, ოდონდ არა უკვე მოპოვებული ფაქტიური დამოუკიდებლობა (საქართველოსაგან დამოუკიდებლობა). და მაიც, პაციფისტები იმედოვნებენ, რომ აფხაზებს დაარწმუნებენ გახშირებული მოლაპარაკებებით, თაგს ვალდებულად თვლიან დაარწმუნონ ისინი...

ცხადია, ეს მიზანსწრაფვა უტოპიურია; რუსეთს აფხაზეთში ნებიმიერი: სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ რაგინდარა პროცესების საღავეები მყარად უპყრია და აფხაზების გადმობირების შესაძლებლობა, - რუსეთით მათი დაშინების და საქართველოთი მათი ცდუნების გზით, - მხოლოდ ცხარე მეოცნებეს თუ სჯერა. ამ ხავსს მხოლოდ დამარცხებისაგან სასოწარკვეთილი და ნერვიული აშლილობის მდგომარეობაში ჩარჩენილი წყალწალებული თუ მოეჭიდება. დამარცხებისაგან გაწილებული საზოგადოების ნაწილი სასურველს რეალობად წარმოიდგენს და თავს თცნებით იმშვიდებს. ქართველთა და აფხაზთა საოცნებო თანხმობა იმდენად კონფლიქტის მოგვარების წინაპირობა არ არის, რამდენადაც იურისდიქციის აღდგენის შემდეგ მისაღწევი ამოცანა, მაგრამ, ვთქვათ, ეს არც მთლად ასეა, ვთქვათ, ქართველთა და აფხაზთა ეს სასურველი წინასწარი თანხმობა რეალურად მიღწევადია. მერედა საკმარისია კი ეს პრობლემის გადაჭრისათვის?

პაციფისტების აზრით თანხმობა ყვალა შემთხვევაში კარგია და თუ ეს საკმარისი არ არის, მაშინ პრობლემა მით უშეტეს ვერ გადაიჭრება.

კი მაგრამ, რატომ უნდა მოუბრუნდეთ გული აფხაზებს ქართველებზე? - ამ ხალხმა ხომ თავისი ნაციონალური იდენტობა ქართველებთან დაპირისპირების და ბრძოლის გზით მოიპოვა და ახლა რატომ უნდა თქვან უარი ამ მონაპოვარზე, - ქართველების წუწუნის და საერთაშორისო თანამეგობრობის ჩიჩინის გამო?! თუ მხოლოდ იმიტომ, რომ თანამეგობრობა მათ დამოუკიდებლობას ჯერაც არ ცნობს? იქნებ სამომავლოდ ცნოს, თუ არა და საქართველოსთან ერთიანობას იქნებ ისევ რუსეთში ინტეგრაცია ურჩევნიათ?!

სამოქალაქო პაციფისტების თეორია აფხაზეთის შემოერთების წინაპირობად სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებასაც გულისხმობს (როგორც საკუთრივ საქართველოში, ისე აფხაზეთში). ეს უფრო იმიტომ, რომ საზოგადოების ასეთ ტრანსფორმაციას ის სანუკარი ეკონომიკური კეთილდღეობაც მოჰყვება, რაც ასე ძალიან ენატრება როგორც ქართულ, ისე აფხაზურ საზოგადოებას. ასეთი პერსპექტივა პოლიტიკურ ელიტებზე ხალხის მხრიდან ზემოქმედების ბერკეტს აამოქმედებდა. იგულისხმება, რომ ხალხი კარგია, - მშვიდობა და თანაცხოვრება სურს, პოლიტიკური ელიტები კი - ცუდი, მათ ომი გააჩაღეს და ხალხი ჩაითრიეს... მაგრამ აზრთა ასეთ წყობას გაუვალი ლაბირინთისკენ მივყავართ და პოლიტიკურ რეალობას აგვაცდენს... ესეც არ იყოს, ამ იდეის თანახმად, აფხაზებმა ეროვნულ სახელმწიფოებრიობაზე მაღლა ეკონომიკური კეთილდღეობა უნდა დააყენონ. მთლად ასე გაშიშვლებულად სამოქალაქო პაციფისტები არ საუბრობენ და ცდილობენ უკეთ შეფერებლი თეორია შემოგვთავაზონ: კონფლიქტი ნაციონალიზმის ნიადაგზეა წარმოშობილი, გადაჭრის წინაპირობებს კი მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა მოამწიფებს. კეთილი, მაგრამ რუსეთი (რომელიც სინამდვილეში აფხაზეთს გვეცილება) ვერ ააშენებს სამოქალაქო საზოგადოებას, თუ მაშინ ნებაყოფლობით დაგვითმობს „დე ფაქტო“ ანექსირებულ ტერიტორიას?! უფრო გაუბრალოებულად რომ ვთქვათ, აფხაზების გულის მოსაგებად რუსეთს ვითომ ჩვენზე ნაკლები ეკონომიკური ან პოლიტიკური რესურსი გააჩნია?! და რაც მთავარია, ნუთუ აფხაზებისთვის ეკონომიკური კეთილდღეობა ასე გადამწყვეტი მნიშვნელობისაა?! აკი ქართველებმა დამოუკიდებლობა და სიდუხჭირის მომტანი პოლიტიკური კრიზისები ვარჩიეთ იმპერიის კმაყოფაზე ნებივრობას. დიახ, ჩვენ ეროვნული დირსება გაგვაჩნია! მაგრამ აფხაზებს?! ეტყობა, აფხაზებს პაციფისტები არასრულფასოვან ერად თვლიან. მართალია, ამას მთლად გარკვევით არ ამბობენ (აფხაზების განაწყენების ეშინიათ), მაგრამ აფხაზები რომ ასეთ ქვეტექსტებს ჭვრეტენ სამოქალაქო მტრედების მშვიდობისმყოფელურ ლათაიებს მიღმა, ეს უმჯობელია. უგ არის ოდონდ, რომ სამოქალაქო პაციფისტები აფხაზების შეურიგებლობას ისევ აფხაზების ქედფიცხელობას მიაწერენ და

იმედს არ კარგავენ, რომ „კეთილგონიერება“ მათშიც გაიმარჯვებს: აი, ახლა ბაღაფში მოვიდა, აფხაზების საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი და მასთან დალაპარაკება შეიძლება; თუ აფხაური საზოგადოება, როგორც პოლიტიკური მოთამაშე, ბაღაფშის თამადობით ახლადა გამოჩნდა არენაზე, - რაც შარშანდელი საარჩევნო აურზაურის გათვალისწინებით რამდენადმე მაინც სწორი აზრი მგონია, - მაშინ როგორდა უნდა ჩავთვალოთ ეს კონფლიქტი ქართველებს და აფხაზებს შორის კონფლიქტიდ? - არენაზე არ მყოფი საზოგადოება კონფლიქტში როგორდა ჩაერთო? აფხაზების საბჭოთა ელიტა თუ არ იყო აფხაზი ხალხის ნაბის გამომხატველი და უკელაფერი პოლიტიკურმა ზედაფენამ დააშავა, მაშინ გამოდის, რომ აფხაზი ხალხი არ იზიარებს საქართველოსაგან გამოყოფის იდეას, რაც უბრალოდ ტყუილია. საქმარისია გავიხსენოთ, რომ სამოქალაქო პაციფისტები, არძინბასთან მოლაპარაკების საჭიროებასაც დაბეჯითებით გვისაბუთებდნენ. კრწანისში არძინბასადმი შევარდნადის ცნობილი ამბორი - პრიმაკოვის იქედნური ლიმილის ფონზე - ამ პოზიციის არაგერბალურ მანიფესტაციად და სამოქალაქო პაციფისტების თეორიის შთამბეჭდავ ხატ-სიმბოლოდ შეგვიძლია ჩავთვალოთ. სად შევარდნაძე და სად სამოქალაქო მტრედები? - გაიკვირვებს მავანი და მავანი, მაგრამ სულ ტყუილად: აფხაზეთის ტრაგედიაში შევარდნაძემ, სულერთია ნებსით თუ იძულებით, მარტო დამდგმელი რეჟისორის კი არა, ომისშემდგომი „მოწესრიგების“ დრამატურგის ტვირთიც რუსებთან ერთად გადაინაწილა. აფხაზეთის პრობლემის „მოწესრიგების“ მთელი ომის შემდგომი პერიოდი იმ მოსკოვური სცენარის ფარგლებშია მოქცეული, რომელიც შევარდნაძემ შეიძლება ყოფანის ქრებ, მაგრამ მაინც გაიზიარა. და რა უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩენოს, კონფლიქტის მოგვარების სამოქალაქო კერძოს, ისევ და ისევ, ამ პროექტთანაა ფეხაწყობილი.

საქართველომ დაიჩიქაო, გვაუწყა თავის დროზე ქვეყნის მეთაურმა და, მეტაფორის ბუნდოვანებას ამოფარებულმა, თავი აარიდა აფხაზეთის ტრაგედიის პოლიტიკურ და სამართლებრივ შეფასებას, მაგრამ სიმართლემ მის ამ გამონათქვამშიც გაჟონა: საქართველოს მხრივ გარეშე სახელმწიფოს წინაშე შეეძლო დაეხმარა, აბა ქვეყანა თავის თავს ხომ ვერ დაუჩოქებდა. გამოდის, კონფლიქტი შიგა კი არა, რუსულ-ქართული ყოფილა, მაგრამ რუსი სამშვიდობოების ჩაყენებით შევარდნაძემ ეს წამონაცდენი უარყო. რუსი სამშვიდობოების ჩაყენება კაპიტულაციის ფარული, შენიდბული ფორმა იყო და ეს შევარდნაძეს მშვენივრად მოეხსენებოდა. არა აქვს ახლა მნიშვნელობა, რამ აიძულა შევარდნაძე ასე მოქცეულიყო; რუსეთთან ასეთი „გარიგების“ შედეგად ჩვენმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ აღიარა, რომ პრობლემა შიგასახელმწიფოა და არა ქართულ-რუსული, - რუსეთი რომ კონფლიქტის მონაწილე ყოფილიყო, სამშვიდობო მისით როგორდა ჩადგებოდა ენგურის გარდიგარდმო?! ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით მოხდა, თუ სხვა რამ მიზეზით, შევარდნაძე იძულებული იყო ეს ასე გაეკეთებინა, - თუ რატომ აჲყვნენ ამ ინტერპრეტაციას სამოქალაქო ორგანიზაციების ინტელექტუალები ლამის ერთსულოვნად, ეს სფინქსის გამოხედვასავით ლიბრით მოცული საკითხია. თუ ყველას არა, მათ ნაწილს მაინც მშვენივრად მოეხსენება, რომ მთავარი პროტაგონისტი აქ რუსეთია და აფხაზების წინასწარი შემორიგების - ფაქტიურად გადმობირების - ოცნებით მათ ქვეშეცნეულად სურთ რუსეთს ჩვენს წინააღმდეგ მომართული უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი წაგლიჯონ ხელიდან.

რამდენად რეალურია ამის გაკეთება?

სამოქალაქო პაციფისტები იმედოვნებენ, რომ აფხაზებს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ფორმირების არანაირი შანსი არ გააჩნია. გამორიცხული არც ის არის, რომ ისინი მწარედ ცდებოდნენ, მაგრამ რომც არ ცდებოდნენ, და

აფხაზებს საქართველოსაგან „დე ფაქტო“ დამოუკიდებელ რეჟიმში არსებობის გარდა მეტის მიღწევა არც შეეძლოთ, ეს მდგომარეობა სულაც არ არის ფაქტორი, რომელიც აფხაზებს მოანდომებს საქართველოს შემადგენლობაში - თუნდაც აყვავებულ და დემოკრატიულ საქართველოს შემადგენლობაში - დაბრუნებას. აფხაზები ეკონომიკური თუ დამატებით სხვა, მათ შორის პოლიტიკური მოწესრიგების პერსპექტივის მაინცდამაინც ქართველებთან ერთიან სახელმწიფოში გადაშლით, არ წამოვლენ ნებაყოფლობით დათმობებზე. ამას არც მაშინ გააკეთებენ, თუ ვივარაუდებთ, რომ მათ ასეთი გადაწყვეტილების მიღება რუსეთის პოლიტიკური ნებისაგან დამოუკიდებლად და ამ ნების წინააღმდეგ შეეძლებათ, – მით უმეტეს მაშინ აღარ წამოვლენ ამაზე!!! დაპირებული კეთილდღეობა აფხაზებს ვერ აცოუნებს. მაშინ, რამ უნდა აიძულოს აფხაზები ერთიან ქართულ სახელმწიფოში დაბრუნდნენ, განსაკუთრებით გადატანილი ომის მერე? რა იგულისხმება იძულების ქვეშ ამ შემთხვევაში? ან იქნებ საერთაშორისო თანამეგობრობის ხათრით გააკეთებენ ამას. მთელი აფხაზური საზოგადოება რომ დაარწმუნო, ათასი წელი არავინ ცნობს მათ დამოუკიდებელ სახელმწიფოსო, ისინი მაშინაც საქართველოსგან „დე ფაქტო“ გამიჯნულ ყოფას არჩევენ, დამოუკიდებლობა (თუნდაც არასრული) ზემნიშნელოვანი ფასეულობაა და „საცელელი ღირებულება“ არ გააჩნია, მას ნებაყოფლობით არ თმობენ!!! აფხაზურ საზოგადოებას სურს და სჯერა, რომ რუსეთის ნამდვილი ზრახვების მიუხედავად და იქნებ სწორედ ამ ნამდვილი ზრახვების გამოყენებით, ისინი რეალურ დამოუკიდებლობას მიაღწევენ. გეორგიევსკის და სხვა მსგავსი პატრონულები შინაარსის ტრაქტატების ქართული ისტორიის გადამკიდე, როგორც ჩანს, დამოუკიდებლობის ზემნიშნოლოვანების პოსტულატი ქართველების შემთხვევაში არ არის მთლად უკამათო ჭეშმარიტება, მაგრამ ქართული პოლიტიკური ფსიქოლოგიის აფხაზებზე ინტერპოლაცია სულ არ არის სავალდებულო. ამასობაში კი ხანგრძლივი „დე ფაქტო“ დამოუკიდებლობა და ის, რომ ახალი თაობა იქერს ძველი, გამოდევნილი მოსახლეობის ადგილს, მორალურ საფუძველს ურყევს საქართველოში აფხაზეთის რეინტეგრაციის მოთხოვნას.

სამოქალაქო ინტელექტუალები გრძნობენ, ჭკუის გარდა სხვა დიდი არაფერი რესურსი რომ არ გააჩნიათ და უნდათ ამ რესურსის ამარა მოაგვარონ პრობლემა, ამიტომ ნაირნაირ იკლიკანტურ კომბინაციებს გვთავაზობენ: მათი აზრით ძაღლის თავი კონფლიქტოლოგიურ ზაუმებშია ჩამარხული; მათი აზრით, აფხაზეთის პრობლემის გადაჭრა აფხაზებთან შეთანხმების გზით შეიძლება, ოდონდ უნდა მიაგნო ამოხსნას, სწორ მეთოდს, რაც, ერთხელაც ვიტყვი, ამაო მცდელობაა. აფხაზეთის და ცხინვალის პრობლემას არა აქვს ინტელექტუალური გადაწყვეტა - არამედ პოლიტიკური, რაც აუცილებლად გულისხმობს ნებელობით ფაქტორს; აფხაზეთის და ცხინვალის პრობლემის გადაჭრა სხვადასხვანაირი სცენარების გზით შეიძლება, მაგრამ ყველა შემთხვევაში ძაღლის არსებობაა საჭირო - პოლიტიკური, სამხედრო, ფინანსური და უწინარეს ყოვლისა - მორალური ძაღლის, ანუ ნების არსებობა. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, წინა ხელისუფლებას ეს ნება არ გამოუვლენია, ხელისუფლების ძაღლისხმევებს რუსეთის პოლიტიკური ნებისადმი სრული მორჩილების სახე ჰქონდა.

გნებავთ მაგალითები?

ჯერ ბეპაევისაგან გადმოცემული დაზანებული ტანკების აფხაზეთის ჯუნგლებში შეხრიგინება; მერე, საბრძოლო მოქმედების დროს, არაერთგზის დაკავებული პუნქტების არაერთგზისვე უკან ჩაბარება; განიარაღების ცალმხრივი პროცესის განხორციელება; მშვიდობიანი მოსახლეობის დახიზვნის ნაცვლად, მისი საომარი მოქმედებების თეატრში ჩატოვება, რამაც უკიდურესად მოწყვლადი გახადა ქართული მხარის პოზიცია; გაეროს სამშვიდობო

კონტიგენტის აშშ-ს მიერ 300 მილიონიან დაფინანსების შემოთავაზებაზე უარის თქმა ლტოლვილების სწრაფი დაბრუნების აუცილებლობის მომიზეზებით და რუსი სამშვიდობების ჩაყენებაზე „დესეტეს“ ფორმატით შეთანხმება; გილავის რაზმეულის პროვოკაციული გადასროლა აფხაზეთის ტერიტორიაზე; აბსურდული შეთანხმებები სეპარატისთვის... ყველას ვერ ჩამოთვლი.

სამოქალაქო პაციფისტებიც პოლიტიკური ელიტის ამ კაპიტულანტური ფსიქოლოგიის ტალღაზე ამოტივტივდნენ. დათმობის ნების პერმანენტული გამოვლენით კონფლიქტის ამოწურვა მართლაც არის შესაძლებელი, ოღონდ ეს არ იქნება საქართველოს გამარჯვება.

არის კი აფხაზეთის პრობლემა ქართულ-აფხაზური? არის კი სამოქალაქო პაციფისტების ხედვა პრობლემის ერთადერთი და მართებული ხედვა? ცდებიან თუ არა ისინი, ვინც ფიქრობს, რომ აფხაზეთის პრობლემა უპირველეს ყოფლისა საერთაშორისო პრობლემაა, კერძოდ კი ქართულ-რუსული ურთიერთობის პრობლემა? მოდი, ნუ მივიჩნევთ ნურც ერთ ხედვას მეორის აბსოლუტურად გამომრიცხავ ჭეშმარიტებად, ჩავთვალოთ, რომ ისინი თავსებადია და ვცადოთ ამის დემონსტრირება. ნუდარ ვიქილიკებთ და ნუ დავარქმევთ პაციფისტების თვალთახედვას „ენჯიომტრედების ჟღურტულს“, დავუტოვოთ მას არსებობის უფლება და განვიხილოთ მათგან განსხვავებული შეხედულებაც. პირობითად მას პოლიტიკური რეალიზმის თვალსაზრისი დავარქვათ.

რეალისტების აზრით აფხაზეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბედს მარტო აფხაზები არ განაგებენ; რუსული ფაქტორის ხელოვნური დაკნინება სირაქლემას პოზიციაში ყოფნას გავს. აფხაზეთი „დე ფაქტო“ დამოუკიდებელი მხოლოდ თბილისის კონტროლისგანაა და არა თავისთვალი - და არა რუსეთისგან. აფხაზეთის კონფლიქტი ერთნაირად იმსახურებს როგორც საშინაო, ისე საგარეო კონფლიქტის სახელს, მაგრამ ის უპირველეს ყოვლისა მაინც ქართულ-რუსული კონფლიქტია, რომელშიც ჩვენი ქვეყნის სხვა არაქართული ეთნოსებიც არიან ჩათრეული. საერთაშორისო კონფლიქტებისთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, როცა გარედან აჩეხილ დაკადაკაში შიგა სოციალური, თუ ეთნოსური ჯგუფებიც ებმებიან. სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტი ხშირად ბადებს შიგა, დამატებით კონფლიქტებს. შორს რომ არ წავიდეთ, იმავე რუსეთის მაგალითიც კმარა: პირველ მსოფლიო ომში რუსეთის ჩართვამ ამ ქვეყანას ორი რევოლუცია (თებერვლის და ოქტომბირის) აჩუქა. რომც შევატრიალოთ მოვლენათა თანამიმდევრობა და კონფლიქტის წყაროდ შიგასახელმწიფოებრივი წინააღმდეგობა მივიჩნიოთ, მაშინაც იგივე შედეგი გვექნება: შიგასახელმწიფო კონფლიქტი არც თუ იშვიათად აპროვოცირებს გარე ჩარევას და პრობლემას საერთაშორისო კონფლიქტის შინაარსს სძენს. მაგალითები აუარებელია: ავდანეთი, კორეა, ვიეტნამი... საერთაშორისო კონფლიქტი კი - გვინდა თუ არა ამის აღიარება - ომია. გასაგებია, რომ კონფლიქტი აფხაზეთში არ ყოფილა რუსეთის მხრიდან სრულმასშტაბიანი ომი ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში „კონფლიქტი“, რამდენადაც ის სახელმწიფოთშორისო კონფლიქტია, ნაკლები მასშტაბის, მაგრამ მაინც - ომია.

ომის უფლება ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს. მაშინაც კი, როცა სახელმწიფო, საყოველთაო შეფასებით, უსამართლო ომს აწარმოებს, ის მაინც საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტია და ლეგალურად მოქმედებს. სახელმწიფოები არ ცნობენ რომელიმე არბიტრს, ან კანონს, რომელიც მათზე მაღლა დადგება. ევროპულ სახელმწიფო-საერთაშორისო სამართალს არასოდეს დაუსახავს მიზნად ან არასოდეს მოუმარჯვნია პრინციპად ომის კანონგარეშედ დაყენება. მართალია, აგრესია დაგმობილია, მაგრამ ეს საკითხის მორალური მხარეა. მორალს აქვს თავისი პოლიტიკური

შედეგები და საკითხის მორალურ მხარეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ მორალი ასეთ შემთხვევაში მაინც არ არის გადამწყვეტი ფაქტორი.

„აგრესორის“ მორალური დაღმის თავიდან აცილებას კი დიდი სახელმწოდები იოლად ახერხებენ. საამისოდ ისინი ცდილობენ არ დააფიქსირონ რეგულარული შენაერთების მიერ საზღვრის გადალახვა - „ირიბი“ აგრესის ყველანაირ ფორმას კი დიდი წარმატებით იყენებენ: პროპაგანდა, დივერსია, ტერორი, მსხვილმასშტაბიანი კონტრაბანდა, „დაქირავებულების“ შეგზავნა და სხვადასხვა სახის ძირგამომთხრელი საქმიანობა, რომლის მიზანია გამოიყვანოს მოსახლეობა ხელისუფლების დაქვებდებარებიდან, გადაიბიროს თავისკენ, მოახდინოს შიგაკონფლიქტის პროვოცირება - ის საშუალებებია, რომელსაც შეუძლია წარმატებით შეცვალოს პირდაპირი აგრესია, ისე კი რომ, მას ფორმალურად ვერც საერთაშორისო ორგანიზაციები და ვერც სამართალი მაინცდამაინც ვერ კიცხავს (რომც გაკიცხოს, ეს ისევ და ისევ მორალური შეფასება იქნება და სხვა არაფერი).

თუ გავითვალისწინებთ იმ უთანაბრობას, რაც ჯერარჩამოყალიბებულ ქართულ სახელმწიფოს და რუსეთის ფედერაციას შორის არსებობდა აფხაზეთის კონფლიქტის გაჩადების მომენტისათვის, ცხადია, რუსეთის ირიბი აგრესია თავისი ფაქტიური შედეგებით პირდაპირ აგრესიაზე ნაკლები ნაყოფის მომტანი არ უნდა გამომდგარიყო. რუსეთის მოქმედებაში პირდაპირი აგრესის ნიშნებიც იყო, მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, ირიბი აგრესის პირობებშიც ძნელი წარმოსადგენია, საქართველოს მაშინ რაიმე წარმატებისათვის მიეღწია; ომი პოლიტიკა, პოლიტიკის გაგრძელებაა უკიდურესი საშუალებების გამოყენებით, მა შინდელი ქართული პოლიტიკის მეხაჭები კი რუსეთის მიმართ, მეტი რომ არა კოქათ, კოლაბორანტული პოლიტიკის გატარებაში არიან უკვიტანილები.

რუსულ-ქართული კონფლიქტის მონაწილეთა სუბიექტების რიცხვი ორით არასოდეს შემოფარგლულა. რუსეთის გარდა ამ კონფლიქტში ჩაერთვნენ შიგა ეთნოსური უმცირესობები: აფხაზები, ოსები, სომხები; ამ კონფლიქტში მონაწილეობდა ისეთი გავლენიანი პოლიტიკური ძალა, როგორიც იყო „ქართული“ საბჭოთა ნომენკლატურა; ამ კონფლიქტის ასევე უაღრესად გავლენიანი აქტიორი იყო ორგანიზებული დანაშაულის „უჩინარი იმპერია“. (თუ რამდენად გავლენიანი იყო ეს სოციალური აგენტი, ამაზე ელემენტარული სტატისტიკა და ფაქტები მეტყველებენ: 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის კანონიერი ქურდების 33.1% ეთნიკური რუსი იყო, მეორე საპატიო აღვიდი კი ქართველებს ეჭირათ - 31.6% !!! „ქართველი ლაკი ლუჩიანოს“, ჯაბა იოსელიანის ინიციატივით 1982 წელს კანონიერი ქურდების საკავშირო თავყრილობამ („სხელნიაკმა“) განიხილა მათი ქცევის კოდექსის რეორგანიზაციის პროექტი, თანამედროვე ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის გაზრდის მიმართულებით. ყრილობამ მაშინ ეს პროექტი არ მიიღო, მაგრამ ოთხი წლის მერე, მორიგ თავყრილობაზე იოსელიანმა მაინც თავისი გაიტანა. (ინ. გ. ლლონტი, გ. ლობეჟანიძე „პროფესიული დანაშაულობანი საქართველოში“ თბ. 2004. რუსულ ენაზე). ეს იყო საბჭოისწერო მოვლენა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში. ქურდულმა (ანტისახელმწიფოებრივმა) მენტალობამ გაუდინოთა საზოგადოებრივი ცნობიერება, საქართველოში ძალიან ბევრი სახელმწიფო ჩინოვნიკი დამნაშავეთა სამყაროს წევრად ან მეკავშირედ გადაიქცა. ამიტომაც მოხდა, რომ ეროვნულ-გამათავისუფლებელი პერიოდის ქართულმა კრიმინალურმა კლანებმა (მხედრიონი და სხვა სამმოები) თუ მთლიანად არა, დიდწილად ჩაანაცვლეს სახელმწიფო ხელისუფლება). სახელმწიფო უაღრესად კრიმინალიზებული იყო და თვით უმაღლეს თანამდებობებზეც კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტები და აგენტები: იოსელიანი, ხაჩიშვილი, კიტოვანი და მისთანები მოექცნენ. კრიმინალური იმპერია თავისი არსით ანტისახელმწიფოებრივია და რუსეთის სპეცსამსახურები ამით სარგებლობდნენ.

რუსული სახელმწიფო მაინც მთავარი მოთამაშეა აფხაზეთის ტრაგედიაში და არა მარტო იმიტომ, რომ ჩრდილოკავკასიელები და კაზაკებიც, რომლებიც ასევე

აქტიურად მონაწილეობდნენ კონფლიქტში, რუსეთის მოქალაქეები არიან; ეს საქმის მხოლოდ დეტალია. საქმე კი ის გახლავთ, რომ, როგოროც ზემოთაც ავღნიშნეთ, რუსეთი გამოუცხადებელ ომს ეწევა საქართველოს წინააღმდეგ.

ავტონომიები საქართველოში არ შექმნილა ამ ავტონომიებში მცხოვრები ხალხების (ოსების, აფხაზების, მით უმეტეს აჭარლების) ნების თანახმად, ან თუ ასეთი ნება ოსების და აფხაზების შემთხვევაში ნაწილობრივ მაინც არსებობდა, – ამ ნებისადმი საბჭოთა ხელისუფლების ლოიალობის შედეგად; ავტონომიები საბჭოური ფორმატით რუსული სახელმწიფო მანქანის მიერ იყო ხელოვნურად შექმნილი, როგორც ქართულ, ისე აფხაზურ და ოსურ საზოგადოებაზე გავლენის ბერკეტის მიზნით. სსრ კავშირის დაშლის მომენტში ამ ბერკეტების გამოყენების ცდუნებაზე უარის თქმა მოსკოვის მხრიდან წარმოუდგენელიც კი იყო. მართალია, ეს ბერკეტები არც იმდენად უფექტური გამოდგა, რომ მთლიანად ჩაეკლა ქართველების დამოუკიდობლობისკენ მისწრაფება, მაგრამ მისი მეშვეობით რუსეთი უმნიშვნელოვანეს სამხედრო-სტრატეგიულ და პოლიტიკურ გავლენას ინარჩუნებს საქართველოში.

მაინც რა სტრატეგიული ინტერესი გააჩნია რუსეთს ჩვენი ქვეყნისადმი? ძირითადად ეს არის დასავლეთის სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის შებრკოლება. თუ კონფლიქტების გადამკიდე საქართველო საერთოდ ვერ მოახერხებდა დასავლეთის სივრცეში ინტეგრაციას, მაშინ რუსეთს აქ მისი სრული ჰეგემონობის რესტარვაციის პერსპექტივა გაუზინდებოდა; თუ საქართველო მაინც მოახერხებდა - და ფაქტია რომ ეს ასე მოხსდა - დასავლეთთან რამდენადმე მაინც ინტეგრაციას, მაშინ ავტონომიების ბერკეტი ამ ინტეგრაციის გადღმავების წინააღმდეგ გამოდგებოდა. გარდა ამისა, დასავლეთთან საქართველოს მხოლოდ ნაწილობრივი ინტეგრაცია, რა პარადოქსულიც არ უნდა იყოს, რუსეთისთვის კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის საქართველოს: გქონდეს შენი ბერკეტები დასავლეთის გავლენის ზონაში, ნიშნავს გქონდეს ფორა არა პატარა საქართველოს „დასახოქებლად“ (როგორც შევარდნაჟ იტყოდა), არამედ ახლა უკვე დასავლეთთან პოლიტიკური ვაჭრობის ფართო სარბიელზე. დასავლეთის მხრიდან საქართველოსადმი ინტერესის სრული დაკარგვა რუსეთს საქართველოზე გადამწყვეტ გავლენას კი მოუპოვებს, მაგრამ ამავე დროს საქართველოს ხარჯზე დასავლეთთან პოლიტიკური ვაჭრობის საშუალებასაც მოუსპობს, საკომპენსაციოდ კი გავერანებულ ტერიტორიას მიიღებს. დასავლეთთან ინტეგრაციის პროცესმა საქართველო კავკასიურ ცარცის წრეში ჩააყენა და კაცმა არ იცის ეს წრე მოჯადოებულია, თუ ბოლოსდაბოლოს გაირდევა. რუსეთი გაცილებით მეტს მოიგებს დასავლური მეგაპროექტების და დასავლეთის გავლენის ზონაში მშვიდობის შენარჩუნებაზე სპეცულაციით, კიდრე თუნდაც საქართველოს მიერთებით ან მისი სრული დეზინტეგრაციით, რამაც შესაძლოა რუსეთსაც შეუქმნას მნიშვნელოვანი პრობლემები.

ეს ერთი.

მეორე. რუსეთის მიმართ მისი საზღვრების გაყოლებით სანიტარული კორდონის იდეა არ ახალია. სადღეისოდ ის ნატოს გაფართოების იდეაშია გაზავებული. მინავლებული კონფლიქტების კონტროლის ბერკეტების ხელთქონით რუსეთი ნატოში საქართველოს შესაძლო ინტეგრაციის წინააღმდეგ ყველაზე ქმედით არგუმენტს ფლობს. რუსეთს უჭირავს საქართველოს ტერიტორიების ნაწილი და ამით ნატოს შემოსვლას აბრკოლებს რეგიონში, რომელიც დიდი მნიშვნელობისაა რუსეთის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკისათვის. ახლო აღმოსავლეთი საერთაშორისო პოლიტიკის ცხელი წერტილი იყო და დღეს მით უმეტეს ასეა ერაყში მიმდინარე მოვლენების ვონზე.

აფხაზეთის საქართველოდან საბოლოო ჩამოჭრა და რადაც ფორმით მისი რუსეთისადმი მიერთება, როგორც შესაძლო ფინალი, რა თქმა უნდა, რუსულ იმპერიალისტურ პროექტებში ასევე თავის ადგილს პოულობს, ამ მიმართულებით მუშაობა მთელი ამ ხნის განმავლობაში არ წყდება. მაგრამ ეს მაინც არ უნდა იყოს არც ერთადერთი და არც უმთავრესი სტიმული, რის გამოც რუსეთი გამოუცხადებელი ომის მდგომარეობაშია საქართველოსთან.

რუსეთმა საქართველოს მიმართ ფაქტიურ აგრესიას მიმართა – ფორმალურად კი აგრესია არ დადასტურდა და ეს პირველ რიგში საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის „დამსახურებაა“. მაგრამ ფორმალობა არაა მთავარი ფაქტიური ვითარების შეფასებისას. ფაქტიურად (სინამდვილეში) ტეროტორია რუსეთის მიერად ანექსირებული ქართული დიპლომატიის ამოცანა საერთაშორისო არენაზე რეალური ვითარების ადექვატური ფორმალური აღიარებაა, მაგრამ ამის მისაღწევად ცოტა რამ კეთდება. რუსეთის „სამშვიდობო მისიის“ საწინააღმდეგო საერთაშორისო თანამეგობრობას აქამდე მაინცდამაინც ბევრი არაფერი ჰქონია. ამ ვითარების შეცვლა ისეთი გამწვავებაა, რომელზეც პერმანენტული კრიზისის მდგომარეობაში მყოფი ქართული საზოგადოება და ხელისუფლება აქამდე ვერ მიღიოდა. „გამწვავება“ კონფლიქტის მინავლების ფაზიდან ისევ ხანძრის ფაზაში გადაყვანის საფრთხეს შეიცავს. ძლიერი მხარდაჭერის (ან მფარველის, ვთქვათ ნატოს ალიანსის წევრობის) გარეშე ასეთი ნაბიჯის გადადგმის ნებას ჩვენი საზოგადოება თავს ვერ მისცემს. დასავლეთს კი გამწვავება ნაკლებად ეპიტნავება, რადგან ეს დამატებით თავსიტყივილს გაუჩენს; ახლა კიდევ რუსეთის (ვინ იცის, იქნებ სულაც დაუფარავი და ღია?) აგრესის შეკავებადა აკლია საერთაშორისო ტერორიზმთან ამ გაგანია ომში. დასავლეთის აქტიური მხარდაჭერის გარეშე კი საქართველო ომს რუსეთთან კი არა, „გაგაუზიასთანაც“ წააგებს...

დახმარება - ქმედითი და გადამჭრელი - როგორც ჩანს, მაინც იქნება, მაგრამ იმ პირობით კი, რომ რუსეთთან პირდაპირ და დაუფარავ აგრესიას არ ექნეს ადგილი. ეს შესაძლებელია და ეს არის „მშვიდობიანი“ გადაწყვეტის უმთავრესი რესურსი. როგორც რუსეთს ერჩივნა, არ მიემართა მთლიან შიშველი და დაუფარავი აგრესიისათვის, და გამონახა ამის შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნის შიგა ელემენტებზე დაყრდნობით, ასევე ჩვენს მოკავშირეებსაც შეუძლიათ „მშვიდობიანი“ სცენარის ფარგლებში მოაქციონ ქართულ-რუსული ურთიერთობა, ანუ რამდენადმე მაინც შებოჭონ რუსეთი და ეს არსებითია. ამ პირობებში კი სამუშაო, მათ შორის სამოქალაქო პაციფიზმის ხაზით მართლაც დიდი იქნება.

ქართულ-რუსული თანამშრომლობის თუ პარტნიორობის შესახებ დიპლომატების განცხადებების მიუხედავად ანდა ამ „თანამშრომლობის“ პარალელურად, მინავლებული ქართულ-რუსული კონფლიქტი ფაქტიურად განაგრძობს არსებობას და ორჭოფული დამოკიდებულება არამცოც გადაჭრას, გადაჭრის მიმართულებით წაწევასაც კი არ ნიშნავს. მინავლებული კონფლიქტი პათოლოგიის ქორნიკულ რეესტრში გადავარდნის იდენტურია, ქორნიკული ფორმა კი მხოლოდ უფრო ართულებს გამოჯანმრთელების პერსპექტივას.

თუ როგორი უნდა იყოს პრობლემის გადაჭრის შესაძლო სცენარები, ამაზე აქ ვერ ვისაუბრებთ. დავსძენთ მხოლოდ, რომ გადამჭრელი მოქმედებების მანამდე დაწყება, სანამ ბოლომდე არ ამოწურულა ნატოში ჩვენი ინტეგრაციის - მიუხედავად ტერიტორიული პრობლემებისა - შესაძლებლობა, ნაკლებსასურველია, თუმცა ნიადაგი ყველა სცენარისთვის უნდა მოისინჯოს. ცდის და შეცდომის მეთოდის არამიმზიდველობის მიუხედავად ის, სათანადო სიფრთხილის შემთხვევაში, მაინც უნდა იქნეს გამოყენებული. გულხელდაკრუფილი ჯდომა საბოლოოდ დაკარგვის რეალურ პერსპექტივას შეიცავს.

დასასრულ, ერთხელაც უნდა ხაზგასმით ავდნიშნოთ, რომ ერთი საკითხია
ტერიტორიული მთლიანობის ანუ კონტროლის აღდგენა და სხვაა ამ
ტერიტორიის მოწყობა და აფხაზებთან ურთიერთობის მოგვარება, ეს
განსხვავებული რიგის ამოცანებია და ამ ორი საკითხის გაიგივება კარგი
საშუალებაა ფარული კაპიტულაციის მდგომარეობაში ქვეყნის
ჩატოვებისათვის.

24 საათი, 17 ნოემბერი 2005